

სამთო ტექნიკოსი 011461
პროფესიული სტანდარტი

I. სფეროს აღწერა

სამთო ტექნიკოსის საქმიანობა წარმოადგენს სამთო საწარმოთა ფუნქციონირების მნიშვნელოვან ქვესისტემას. სამთო ტექნიკოსის საქმიანობა მოიცავს სამთო საწარმოს ყველა ტექნოლოგიური პროცესის მართვაში მონაწილეობას საწარმოს ექსპლუატაციაში ყოფნის პერიოდში; ტექნოლოგიური პროცესის მომდინარეობისა და დანადგარების მუშაობის უწყვეტ მონიტორინგს; მუშაობის პროცესში ხარვეზების გამოვლენას, მათ აღმოფხვრას და მომსახურების სრულყოფას;

II. დასაქმების სფერო

მოცემული სტანდარტის მიხედვით სამთო ტექნიკოსი არის სამთო საწარმოს პერსონალი, რომელიც პასუხისმგებელია ტექნოლოგიურ დანადგართა მართვაზე, სისტემის მონტაჟსა და სწორ ექსპლუატაციაზე, დანადგართა ინდივიდუალური თავისებურებების გათვალისწინებით.

III. დამატებითი მოთხოვნები

პრაქტიკის ინსტრუქტორს უნდა ჰქონდეს პროფესიით მუშაობის არანაკლებ 3 წლის გამოცდილება. IV.

საგანმანათლებლო პროგრამა და კვალიფიკაცია

სამთო ტექნიკოსის პროფესიული განათლება არის სამსაფეხურიანი (III, IV და V). თითოეულ საფეხურისათვის შემუშავებულია შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, რომლის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს ენიჭება შესაბამისი საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია და გაიცემა პროფესიული დიპლომი.

სამთო ტექნიკოსის მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს მინიმუმ 60 კრედიტს, რომლის მინიმუმ 40% ეთმობა პრაქტიკას. კურსდამთავრებულს ენიჭება სამთო ტექნიკოსის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია.

სამთო ტექნიკოსის მეოთხე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს მინიმუმ 60 კრედიტს, რომლის მინიმუმ 40% ეთმობა პრაქტიკას. ენიჭება სამთო ტექნიკოსის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია.

სამთო ტექნიკოსის მეხუთე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს მინიმუმ 60 კრედიტს, რომლის მინიმუმ 40% ეთმობა პრაქტიკას. ენიჭება სამთო ტექნიკოსის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია.

V. სამთო ტექნიკოსის პროფესიულ კვალიფიკაციათა აღმწერი

სამთო ტექნიკოსის მესამე საფეხურის კვალიფიკაციის აღმწერი

<p>ცოდნა და გაცნობიერება</p>	<p>აქვს სფეროსათვის დამახასიათებელი ძირითადი ფაქტების, პრინციპების, პროცესებისა და ზოგადი კონცეფციების ცოდნა, აცნობიერებს გართულებული ამოცანების შესასრულებლად აუცილებელ ნაბიჯებს;</p>	<p>აქვს მყარი წიაღისეულის მოპოვების და გამდიდრების ტექნოლოგიების ცოდნა. იცნობს კომპიუტერულ ტექნიკას და აცნობიერებს, რა მნიშვნელობა აქვს კომპიუტერული ტექნიკის გამოყენებას სამთო საქმეში. იცის მათი მუშაობის თავისებურებები და ავტომატური კონტროლისა და მართვის სისტემების მონტაჟი და ექსპლუატაცია. აცნობიერებს ავტომატიზაციის მნიშვნელობას ტექნოლოგიური პროცესის ეფექტურად წარმართვაში.</p>
<p>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი</p>	<p>შეუძლია გამოიყენოს სფეროს სპეციფიკისათვის დამახასიათებელი უნარების ფართო სპექტრი, შეაფასოს დავალებების შესასრულებლად სხვადასხვა მიდგომა, შეარჩიოს და მიუსადაგოს სათანადო მეთოდები, ინსტრუმენტები და მასალები.</p>	<p>შეუძლია სტაბილურ სიტუაციაში შეასრულოს მარტივი სამონტაჟო სამუშაოები, გამოიყენოს საჭირო მასალები, მეთოდები და ინსტრუმენტები. შეუძლია შექმნილი ცოდნა და უნარი გამოიყენოს სხვადასხვა სიტუაციაში: შეაფასოს პროცესის მიმდინარეობა, მართვის სისტემის და მისი ელემენტების მდგომარეობა, მიიღოს მონაწილეობა მათ მონტაჟსა და გამართვაში, ამოიცნოს და აღმოფხვრას წარმოქმნილი ხარვეზი.</p>
<p>დასკვნის უნარი</p>	<p>შეუძლია განსხვავებულ სიტუაციებში წამოქმნილი პრობლემების გადასაჭრელად ინფორმაციის ცნობილი წყაროებით სარგებლობა, მათი შეფასება და ანალიზი.</p>	<p>შეუძლია წარმოქმნილი პრობლემის გადასაჭრელად გამოიყენოს მიწოდებული ინფორმაცია და საჭირო სამუშაოს შესასრულებლად, გამოიტანოს შესაბამისი დასკვნები. შეუძლია მაღაროსა და მამდიდრებელ ფაბრიკაში ტექნოლოგიური დანადგარებისა და მათი ავტომატიზაციის სისტემების ექსპლუატაციისას გაჩენილი პრობლემების შესახებ ინფორმაციის სწორად გაანალიზება და დასკვნის გამოტანა.</p>

კომუნიკაციის უნარი	შეუძლია ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია პროფესიასთან დაკავშირებულ საკითხებზე განსხვავებულ სიტუაციებში, ეფექტიანად იყენებს პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებულ საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს, შეუძლია უცხო ენის პრაქტიკული გამოყენება.	შეუძლია ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია ავტომატიზაციის სისტემათა მონტაჟისა და ექსპლუატაციის დროს წარმოქმნილ განსხვავებულ სიტუაციებში; პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებული საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ეფექტური გამოყენება. შეუძლია უცხოური ენის პრაქტიკული გამოყენება პროფესიული თვალსაზრისით.
სწავლის უნარი	შეუძლია წინასწარ განსაზღვრული ამოცანების ფარგლებში საკუთარ სწავლაზე პასუხისმგებლობის აღება.	შეუძლია კვალიფიკაციის ამაღლებისა და საჭირო ცოდნის შეძენის მიზნით შემდგომ განათლებაზე პასუხისმგებლობის აღება.
ღირებულებები	გათავისებული აქვს პროფესიული საქმიანობისთვის დამახასიათებელი ღირებულებები და მოქმედებს მათ შესაბამისად.	გაცნობიერებული აქვს სამთოელებისათვის დამახასიათებელი პროფესიული და პიროვნული ღირებულებები, მოქმედებს მათ შესაბამისად. იცნობს უსაფრთხოების წესებს.

სამთო ტექნიკოსის მეოთხე საფეხურის კვალიფიკაციის აღმწერი

ცოდნა და გაცნობიერება	აქვს სფეროს ფაქტობრივ გარემოებებსა და თეორიულ საფუძვლებზე დამყარებული ცოდნა, აცნობიერებს პრობლემების გადაჭრის ზოგად შესაძლებლობებს.	იცის ნახშირის, შავი და ფერადი ლითონების მოპოვების და გადამუშავების პროცესები; ამ პროცესების ავტომატური კონტროლისა და მართვის საშუალებები; ტექნოლოგიური პარამეტრების (სიმძლავრე, წნევა, ხარჯი, სიჩქარე, მწარმოებლურობა და სხვა) ავტომატური გაზომვის და მართვის აპარატურის მონტაჟი, გამართვა და ექსპლუატაცია. აცნობიერებს მიკროპროცესორული მართვის როლს თანამედროვე სამთო საწარმოს მუშაობის ეფექტიანობის ამაღლებაში.
-----------------------	---	--

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი	შეუძლია, სამუშაოს დაგეგმვისა და შესრულების პროცესში გამოიყენოს სანდო ინფორმაციის წყაროები, შეიმუშაოს სტრატეგია წამოჭრილი სპეციფიკური ამოცანის დასაძლევად და შეაფასოს მიღებული შედეგები შესრულებული სამუშაოს გაუმჯობესების მიზნით.	შეუძლია ნახშირის, მანგანუმის ან სპილენძის მადნის მოპოვების და გამდიდრების პროცესებზე დაკვირვებით მოიპოვოს ოპერატიული ინფორმაცია მის მიმდინარეობაზე. შეაჯეროს ის ინფორმაციის სანდო წყაროებთან და განსაზღვრული რეჟიმიდან გადახრის შემთხვევაში, შეიმუშაოს მოქმედების სათანადო სტრატეგია - უწესრიგობის აღმოფხვრის გეგმა (შეაკეთოს ან გამოცვალოს გადამწოდები და რეგულატორები, შეცვალოს მართვის სისტემის დანაყენები და სხვ.).
დასკვნის უნარი	შეუძლია სპეციფიკური პრობლემების გადასაწყვეტად შესაბამისი მიდგომის შემუშავება, ალტერნატიული შესაძლებლობების განხილვა და მიღებული შედეგის ანალიზი.	წიაღისეულის მოპოვების ან გამდიდრების პროცესის დარღვევის შემთხვევაში შეუძლია მისი აღდგენისათვის სათანადო ღონისძიებების შემუშავება, ალტერნატიული შესაძლებლობების განხილვა, მიღებული შედეგების ანალიზი და კვალიფიციური დასკვნის გამოტანა.
კომუნიკაციის უნარი	შეუძლია ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია პროფესიასთან დაკავშირებულ საკითხებზე ცვალებად სიტუაციებში, ახალი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების დამოუკიდებლად ათვისება, უცხოურ ენაზე მიღებული პროფესიასთან დაკავშირებული ინფორმაციის დამუშავება.	შეუძლია ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია სამთო საწარმოთა ავტომატიზაციის საკითხებზე, ახალი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების დამოუკიდებლად ათვისება, უცხოურ ენაზე მიღებული ინფორმაციის დამუშავება.
სწავლის უნარი	შეუძლია საკუთარი სწავლის მიმართულებების დამოუკიდებლად განსაზღვრა განჭვრეტად, თუმცა ნაწილობრივ ცვალებად, ვითარებაში.	საწარმოში ტექნოლოგიური პროცესის ან მართვის სისტემის შეცვლის შემთხვევაში შეუძლია დამოუკიდებლად განსაზღვროს შემდგომი განათლების მიღების მიმართულებები.
ღირებულებები	პასუხისმგებლობით ეკიდება პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელ ღირებულებებს და ცვალებად სიტუაციებში მოქმედებს მათ შესაბამისად.	იცავს და უფრთხილდება სამთოელთა პროფესიულ ტრადიციებს. პასუხისმგებლობით ეკიდება დაკისრებულ მოვალეობას, იჩენს კოლეგიალობას, ავლენს სათანადო ცოდნას და უფრთხილდება დამკვიდრებულ ღირებულებებს.

სამთო ტექნიკოსის მეხუთე საფეხურის კვალიფიკაციის აღმწერი

<p>ცოდნა და გაცნობიერება</p>	<p>აქვს პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებული მრავალმხრივი და/ან სპეციალიზებული თეორიული და პრაქტიკული ცოდნა, აცნობიერებს პროფესიული საქმიანობის შესაძლებლობებს (საზღვრებს).</p>	<p>აქვს თეორიული და პრაქტიკული ცოდნა მდაროსა და კარიერში წიაღისეულის მოპოვების პროცესების, მამდიდრებელ ფაბრიკებზე დამსხვრევა-დაქუცმაცების და სეპარაციული პროცესების ავტომატური კონტროლისა და მართვის სისტემების, მათი ცალკეული ელემენტების შესახებ. იცნობს მართვის სისტემებში გამოყენებულ თანამედროვე კომპიუტერულ ტექნიკას, ინფორმაციული სისტემების გამოყენების გზებს სამთო მანქანების მართვის საქმეში. აცნობიერებს კომპიუტერული ტექნოლოგიების შესაძლებლობებს სამთო-ტექნოლოგიური პროცესების ოპტიმალური მართვაში, აგრეთვე თავისი პროფესიული საქმიანობის მნიშვნელობას.</p>
<p>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი</p>	<p>შეუძლია შემეცნებითი და პრაქტიკული უნარების ფართო სპექტრის გამოყენება აბსტრაქტული პრობლემების შემოქმედებითად გადასაწყვეტად.</p>	<p>შეუძლია ავტომატური მართვის სისტემების მონტაჟი, გამართვა და ექსპლუატაცია. შეუძლია ტექნოლოგიური პარამეტრების ავტომატური კონტროლის აპარატურის შემოწმება, ტარირება და გამართვა; გამოიყენოს ინფორმაციული სისტემები სამთო მანქანების მართვის საქმეში. უნარი შესწევს მართვის სისტემის ელემენტებში აღმოაჩინოს და აღმოფხვრას უწყესრიგობა.</p>
<p>დასკვნის უნარი</p>	<p>შეუძლია კარგად განსაზღვრული პრობლემების ამოცნობა, მათი გადაჭრისათვის სათანადო მონაცემების იდენტიფიცირება და ანალიზი სტანდარტული მეთოდების გამოყენებით, ასევე დასაბუთებული დასკვნების გაკეთება.</p>	<p>შეუძლია აღმოაჩინოს სამთო მანქანასა და მისი მართვის სისტემაში წარმოქმნილი უწყესრიგობა (დაზიანებები), ტექნოლოგიური რეჟიმის დარღვევა, არსებული მეთოდების გამოყენებით ჩაატაროს შემთხვევის იდენტიფიცირება და ანალიზი, გამოიტანოს დასაბუთებული დასკვნა.</p>

კომუნიკაციის უნარი	შეუძლია იდეებისა და ინფორმაციის სტრუქტურირებულად და თანმიმდევრულად გადაცემა სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის ხარისხობრივი და რაოდენობრივი ინფორმაციის გამოყენებით. იყენებს თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს. შეუძლია უცხოურ ენაზე პროფესიასთან დაკავშირებული ინფორმაციის გადაცემა და ანგარიშის წარდგენა.	შეუძლია მის პროფესიულ საქმიანობასა და სამთო ავტომატიკის პრობლემებზე პროფესიული მსჯელობა და სათანადოდ დასაბუთებული მოსაზრებების გაზიარება სპეციალისტებისათვის, მათ შორის უცხოურ ენაზეც. იყენებს თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს.
სწავლის უნარი	შეუძლია საკუთარი სწავლის მიმართულებების განსაზღვრა ცვალებად და გაუთვალისწინებელ ვითარებაში.	პროფესიული ცოდნის ამღლების მიზნით შეუძლია სწავლის მიმართულების განსაზღვრა.
ღირებულებები	აფასებს თავისი და სხვების დამოკიდებულებას პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელ ღირებულებებთან და უზიარებს სხვებს.	პასუხისმგებლობით ეკიდება დაკისრებულ მოვალეობას, იჩენს კოლეგიალობას, ავლენს სათანადო ცოდნას და უფრო ხილდება ჩამოყალიბებულ ღირებულებებს